



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე



ბრძანება:ბ49.49221711

თარიღი:20/06/2022

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის

ირინა ჩაკვეტაძის შვებულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მესამე და მეოთხე პუნქტის, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ ა“ ქვეპუნქტის და „ საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, ვბრძანებ:

1.ირინა ჩაკვეტაძეს - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო, ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ნება დაერთოს ისარგებლოს 2021 წლის განმავლობაში გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულებით, 9 სამუშაო დღე, 2022 წლის 20 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო, ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულება, დროებით დაეკისროს ამავე განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს ნათია მელაძეს.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხისა და ნათია მელაძისათვის დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში სახელფასო დანამატის მიცემა.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

